



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს-ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

DWV **გერმანული კომპანიების შესახებ ინფორმაციას** მოიძიებს და მოგაწვდით?

თქვენ შეგიძლიათ დაგვიხასიათოთ თქვენი მიზნობრივი ჯგუფი და მოგვანოდოთ შესაბამისი საძიებო კრიტერიუმები, როგორებიცაა: ბიზნეს სფერო, კომპანიის მასშტაბი, ბრუნვის სიდიდე და დასაქმებულ პირთა რიცხვი.

ჩვენგან მიიღებთ ინფორმაციას **მოძიებული ოცამდე კომპანიის** შესახებ, რომელთა საკონტაქტო ინფორმაციის მართებულობა **გადამოწმებული** იქნება სატელეფონო კომუნიკაციის გზით. ამ გზით, თქვენ მიიღებთ ინფორმაციას კომპეტენტური და, რეალურად, საინტერესო ბიზნეს კომპანიების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მისამართების მოძიებასთან დაკავშირებით, დაუკავშირდით სალომე მუმლაძეს ელ-ფოსტაზე: salome.mumladze@dwv.ge

ივლისის თვის ახალი წევრი

PEM Consult, რომელიც დაარსდა 1977 წელს დიუსელდორფში, გერმანიაში, არის დამოუკიდებელი კერძო საკონსულტაციო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას და ტექნიკურ დახმარებას საჯარო დაწესებულებებისთვის, ინდივიდუალური საწარმოებისთვისა და კერძო სექტორის ასოციაციებისთვის. ძირითადი სერვისები მიმართულია “3 E”-ის ირგვლივ (**Entrepreneurship, Education, Environment**): **მენარმეობა, განათლება და გარემო.**

კომპანია მიზნად ისახავს, საკუთარი წვლილი შეიტანოს **გლობალურ მდგრად განვითარებაში**, რაც აისახება ეკონომიკურ ეფექტურობაში, სოციალურ სამართლიანობასა და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაში.

საქართველოში PEM 2014 წლიდან მუშაობს **პროფესიულ განათლებაზე, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მონყობასა და გაუმჯობესებაზე, ორგანიზაციულ განვითარებაზე** და გერმანიის მთავრობის, ევროკომისიის და აშშ-ის ათასწლეულის გამონწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებულ სხვა პროექტებზე. ამჟამად **PEM** -ის გუნდი აქტიურად მუშაობს, თბილისში პროფესიული განათლების ცენტრის შექმნასა და ოპერირებაზე, რომელიც იქნება ქვეყნის მასშტაბით სერვისების წამყვანი მიმწოდებელი სამშენებლო და ლოგისტიკის სექტორის კომპანიებისთვის.

გახდით გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი

აქტუალური თემები



LEARNTEC და EUROVINO საქართველოშია

DWV გახდა **Messe Karlsruhe**-ის ორი მნიშვნელოვანი გამოფენის, **LEARNTEC**-ისა და **EUROVINO**-ს, ოფიციალური წარმომადგენელი **კავკასიაში** (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი). ამ ახალი პარტნიორობით, DWV აძლიერებს თავის როლს, გერმანულ და ადგილობრივ ბიზნესებს შორის.

გამოფენებით დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ სალომე მუმლაძეს მეილზე: salome.mumladze@dwv.ge

ინვესტორთა საბჭო ატარებს გამოკითხვას ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სექტორებში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდება ის სფეროები, რომლებშიც გამოიკვეთება საჯარო სტრუქტურებთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

გთხოვთ, 9 აგვისტომდე შეავსოთ გამოკითხვა, რომელიც ხელმისაწვდომია [ამ ბმულზე](#).

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-Get Together

21 აგვისტო 2024 | სასტუმრო სვისოტელი (Swiss Cafe Yard). სოლიკო ვირსალაძის ქ. 3

ბიზნეს დელეგაცია: ინფრასტრუქტურული პროექტები

23-27 სექტემბერი 2024 | თბილისი, ქუთაისი, ბათუმი

ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის ივლისში DWV-მ ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

- წვერი მასპინძლობს წვერებს: **კნაუფის ქარხანაში**
- სემინარი თემაზე **თანამშრომელთა ჩართულობისა და შენარჩუნების ხელოვნება**
- **DWV-Get Together სასტუმრო ბილტმორში**



წვერების სიახლეები

“საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი – მელორა 2024“-ის რამდენიმე კატეგორიაში **თეგეტამ** და **თიბისი ბანკმა** გაიმარჯვეს.

საქართველოს ბანკი აქტიურად იცავს გარემოს და მხარს უჭერს განახლებადი ენერჯის განვითარებას საქართველოში. ბანკის ხელშეწყობით „აისბერგ თბილისი“-ში მზის პანელები დამონტაჟდება.

ჰეგელმან მულტიმოდალ ჯორჯიამ ჩინეთიდან ევროკავშირში საქართველოს გავლით პირველი სატვირთო გადაზიდვა განახორციელა.

პროკრედიტ ბანკისა და **გრანტ თორნტონის** და ასევე, ევროპის ბიზნეს ასოციაციის და გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელი საქართველოს თანამშრომლობით, გაიმართა ღონისძიება “ESG და მდგრადი ფინანსები – შესაძლებლობები და გამოწვევები“.

ნექსიამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოწვევების საპასუხოდ ახალი სერვისი დანერგა. ის ორგანიზაციებს ახალი კანონის სწორ და კონსტრუქციულ რეალიზებასა და თანამშრომელთა გადამზადებაში დაეხმარება.

CENN-მა, რომელიც ცნობილია გარემოს დაცვითი და “მწვანე ღონისძიებების” აქტიური ხელშეწყობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეზო ფესტივალი 2024-ის ეკოლოგიურად ჩატარებაში.

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

ეკონომიკის სიახლეები

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი იზრდება. 2024 წლის წლის პირველ ორ კვარტალში საქართველოში **2,123,816 საერთაშორისო ვიზიტი** შედგა, რაც **10%-ით აღემატება გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემს**. ტურისტების განსაკუთრებულმა მატებამ ევროკავშირის ქვეყნებიდან ფიქსირდება. სტატისტიკის თანახმად, საქართველომ ბოლო 6 თვეში, გასულ წელთან შედარებით **24.3%-ით მეტ გერმანელ ვიზიტორს უმასპინძლა**. გერმანიასთან ერთად, საგრძნობლად შესამჩნევია ვიზიტების ზრდის მაჩვენებელი საფრანგეთიდანაც, სადაც ტურისტთა მაჩვენებელი **30,3%-ითაა გაზრდილი**.

შეთავაზებები ჩვენი მკითხველებისთვის

დაჯავშნეთ სასურველი **საკონფერენციო სივრცე** და ჩაატარეთ თქვენი ღონისძიება 31 აგვისტომდე **Mercure-ის სასტუმროებში** "თბილისი საბურთალო" და "თბილისი ფილარმონია" და მიიღეთ **15%-იანი ფასდაკლება**.



MEETING ROOMS

LOUNGE NAME	MAX NUMBER OF PERSONS	SURFACE m²	DAYLIGHTING
KAZBEGI	100	104	YES
SHKHARA	30	35	YES

MEETING ROOMS

MEETING ROOMS	MAX NUMBER OF PERSONS	SURFACE m²	DAYLIGHTING
KAKHIDZE	20	24	YES
KANCHELI	30	35	YES
CHOKHELI	70	73	YES

ბათუმში შვილობილი ბრენდ „Delight“-ის შოურუმის გახსნის აღსანიშნავად, სადაც წარმოდგენილია ტოპ-ბრენდების **სანათები და ავეჯი**, Insta გთავაზობთ სპეციალურ შეთავაზებას მთელ კოლექციაზე, რომელიც ასევე თბილისის შოურუმშიც მოქმედებს. შეთავაზება ძალაშია სექტემბრის ბოლომდე! შეთავაზებით სარგებლობისთვის გამოიყენეთ **პრომო კოდი: DWV X DELIGHT**



Mercure-ის სასტუმროებში "თბილისი საბურთალო" და "თბილისი ფილარმონია" განახლებული ბიზნეს ლანჩის ორი სახის - 30 ლარიანი და 40 ლარიანი მენიუ დაგვხვდებათ. შეთავაზების სანახავად გადადით [ამ ბმულზე](#).





გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი

ტელ.: +995 32 220 57 67

ელ-ფოსტა info@dwv.ge

www.dwv.ge

თუ არ გსურთ ჩვენგან ბიზნეს ბიულეტენის მიღება,
დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულზე.

[გამონების გაუქმება](#)